04/06/2020

მეუფე გიორგი: “ნარიმანოვის ძეგლის ნაცვლად, დაიდგას ხუდია ბორჩალოელისა და ერეკლე მეორის ძეგლი”

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი გიორგი (ჯამდელიანი) ეთნიკურად აზერბაიჯანელ და ქართველ თანამოქალაქეებს გამოსავალს სთავაზობს, რასთან დაკავშირებითაც, ეპარქიის ფეისბუკგვერდზე მცირე მიმართვას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

“მივმართავ მარნეულის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას, როგორც ქართველებს ისე აზერბაიჯანელ დებსა და ძმებს, გამოვდივარ ინიციატივით: საბჭოთა იდეოლოგიის, წითელი პირსისხლიანი კომისრის, ნ.ნარიმანოვის ძეგლის ნაცვლად, დაიდგას ჩვენი ეროვნული გმირის, აზერბაიჯანელი თანამემამულის, ხუდიასა და ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის ძეგლი, როგორც ქართულ-აზერბაიჯანული ძმობის,სიმტკიცის და ერთობის სიმბოლო.
გიორგი,- ეპისკოპოსი მარნეულისა და ჰუჯაბისა.”

— dogma.ge